სახალხო გაზეთი

№ 460 შაბათი, 26 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 460

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდე-
იდან გაზეთის გზავნა ისპობა ყველას ვისაც ხვედ-
რი ფული არა აქვს შემოტანილი.

ელენე დავითის ასული ჩიჯავაძე დედით და დებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, ძვირფას და დაუვიწყარ საქმროს

დათა ჯავახიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფ. ხოვლეში, ხვალ, კვირას, 27 ნოემბერს. (1—949—1)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ანთიმოზ ივანეს ძე, მელანია ლევანის ასული, ვალიკო და ილიკო ანთიმოზის ძენი ჯუღელნი და ელისაბედ ლევანის ასული კვთიალაძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ—პირველნი—დაუვიწყარ შვილისა, მეორენი—უძვირფასეს დისა, და უკანასკნელი—საყვარელ დისწულის—პეტერბურგის საბუნების-მეტყველო და სამეცნიერო კურსების მსმენლის

თამარ ანთიმოზ ჯუღელის ასულის

უეცრივ გარდაცვალებას ქ. პეტერბურგში. დაკრძალვა დანიშნულია ქ. სოხუმის სასაფლაოზე კვირას, 27 ნოემბერს. ცხედარს გამოასვენებენ ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარ სადგომიდან. (1.1606.1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

კვირას, 27 ნოემბერს,

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა გუცკოვისა: **ურიელ აკოსტა**, ტრაგედია 5 მოქმ., თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: ალუდიშვილი, ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმნაელი აბდუშელი, გუნია, გვარამე, მატარაძე, ციციშვილი, სარაული. ● ადგილ. ფასი დაკლებულია. ● დასაწყ. საღ. 8 ს.

ა ნ ო ნ ს ი: ანტიგონა. შემდეგი წარმოდგენა ვასო აბაშიძის ბენეფისი, წარმოდგენილ იქნება „უდანაშაულოდ დასჯილნი“.

რეჟის. ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (2.951.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 27 ნოემბერს, 1911 წ. გამართება

სალიტერატურო დილა

I განყოფილება ა. ზ. ლეალაძე წაიკითხავს ქართულად ლექციას: „დაღისტანი და შამილი“

II განყოფილება

სალიტერატურო სამუსიკო.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. მგალობლიშვილი, გრიშაშვილი, იორდანაშვილი, საფაროვი, ია ეკალაძე, სადირაშვილი, ადამიძე და სხვანი. (2—950—1)

ახალი კლუბი

შაბათს, 26 ნოემბერს,

ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება ქართულად:

ი. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი**, ოპ. 3 მ. და 4 სურ. თარგ. გ. გუნიასი.

დასაწყისი საღ. 8½ ს. ლოტბარობს ნ. გ. ქართველიშვილი.

ადგილების ფასი თეატრში: ლოჟები: ბენუარი 4 მ., ბელ-ეტაჟი—„ენ ფალე“ 3 მ., გვერდისა 2 მ., ლოჟ 5 მ. პარტერი: 1 რიგი 2 მ., 2 და 3 1 მ.—50 კ., 4, 5, 6, 7 და 8—1 მ., 9 და 10 80 კ., 11, 12, 13 და 14—50 კ., დანარჩენი 40 კ. გალერეაში შესვლა ყველასთვის ნებადართულია და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდიან; ფასები გალერეაში ლოჟებ. 3 მ., 1 რიგი 60 კ., 2, 3, 4 და 5—40 კ., 6, 7 და 8 კ., დანარჩენი 20 კ. სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდ. 25 კ.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო. (3—1586—3)

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის

კრებული

აუწყებს ამა ეკლესიის მრევლს, რომ კვირას, გიორგობისთვის 27-ს, წირვის შემდეგ, დანიშნულია

მნათის არჩევანი (3.945.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირბილოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ბედიაშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დგვეფაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავშ. 10—12 ს.

წიქარიძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. შ. ქირურ. და დედაკ. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

არიმზონოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირბილოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოდოსლევსკი ს. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ზულაბოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფიდლეროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფიდლეროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089 617)

იყიდება

მეორე თუმანოვის ქუჩაზე ქვითკირით აშენებული 1904 წელს

სამ-სართულიანი **სახლი**,

სარდაფით და ეზოთი. ბანკის ვალი 7500 მანეთია.

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ: თუმანოვის ქუჩაზე, სახლი № 14, ხოჯიო ი. მღებრიშვილისას, დილის 9—12 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (ნ—1607—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვერის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—182)

ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—34)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ჟუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონზე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალაშნიკოვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლონსკი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

ნუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვშჩიკოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხლოპკოვისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქარიანი—ნერ., ელექტრო-თერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—24)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ნ. ლოსაბერიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. მოსაშვილი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. შ. მელიქიშვილი—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წ. 1090—221)

ექიმი ნ. ტ. ფულინი

ყელის, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—33)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მახლ. N 5.

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და საქალებო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სენების, საქალებო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ლუთერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—51)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს

ექიმი ზ. ლოლობერიძე

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—7)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.23)

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 26, ტელეფონი 388. 25—1442—81

ექიმი მ. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067 (100—1117—47)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20 (წ.—1249—64

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible]

ექიმი კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—16)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (7—43)

საყურადღებო გაკვეთილი

2.

ეს ინდიფერენტიზმი ან შეგნებული უარყოფითი დამოკიდებულება ეროვნულ იდეალისადმი წითელი ზოლივით გადის მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აერთებს ისეთს ელემენტებს, რომელნიც სულ სხვა და სხვა ნაირ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეადგენენ. ასეთი მდგომარეობა იყო გამეფებული იმ დრომდე, სანამ ცხოვრებამ არ წარმოშობა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც ძველის გზით სიარული საკმარისად არ მიაჩნდა თავად-აზნაურულ ტრადიციებზე აღზრდილ ინტელიგენციისა და „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებს დაუპირისპირდა ეს ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი თავისი ეროვნული იდეალით. პრაქტიკული მოქმედება ამ ახალ საზოგადოებრივ ჯგუფისა ყოველთვის გაშუქებული იყო ხოლმე ამ ეროვნულის იდეალით. ამით თვით პრაქტიკულ საქმიანობასაც მეტი აზრი და მთლიანობა ემჩნეოდა, რადგანაც ექვემდებარებოდა განსაზღვრულ საერთო მიზანს.

თავად-აზნაურულ ტრადიციებზე აღზრდილმა ინტელიგენციამ და „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებმა ამ ახალს საზოგადოებრივ ჯგუფში თავიანთი მოწინააღმდეგენი დაინახეს და ბრძოლაც გამოუცხადეს. ფრიად საინტერესო სურათი ამ ბრძოლისა, რომელიც დღესაც სწარმოებს. იგი საზოგადოებრივ ცხოვრების მემატიანეს ძვირფასს საყურადღებო მასალას მისცემს.

ბრძოლა ყოველს კერძო შემთხვევებში ამ საზოგადოებრივ ჯგუფის წინააღმდეგ სწარმოებდა, მაგრამ იგი არსებითად იყო ბრძოლა ეროვნულ იდეალის წინააღმდეგ. ძველი აზროვნება იმდენად ღრმად იყო გამჯდარი სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში, რომ ეს ეროვნული იდეალი ან რეაქციონურად ეჩვენებოდათ და ან კიდევ ისეთს ოცნებად, რომელზე ფიქრიც ჭკუა დამჯდარ კაცს არ ეკადრება. მიუხედავად ამისა, ცხოვრების გულის სიღრმიდან ზედა-პირზე ამოტივტივებულმა აზრმა გზა გაიკვლია და დღეს იგი უკვე აუცილებელ საჭიროებადაა აღიარებული იმათგანაც კი, ვინც სულ ხუთიოდე წლის წინად მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა.

თანდათან, კულტურულ განვითარებასთან ერთად, ეს აზრი უფრო პოპულიარული გახდება და მისი მოწინააღმდეგენიც იძულებულნი გახდებიან მორჩილებით ქედი მოიხარონ აუცილებლობის წინაშე. საზოგადოებრივ აზრის ევოლუცია ამ დასკვნამდე ერთბაშად ვერ მივა. ამისათვის საჭიროა შეგნება და ის ობიექტიური პირობები, რომლებიც ამ შეგნებას გამოიწვევენ. როდესაც ცხოვრება კულტურულად წინ წაიწევს, როდესაც ხალხი პოლიტიკურად გაიწვრთნება და ეკონომიურად მოღონიერდება, მაშინ მის გონების წინაშე ახალი ჰორიზონტი გადაიშლება. სხვანაირ ახსნა-განმარტებას მისცემს მაშინ გაღვიძებული გონება ადამიანისა ყოველს მოვლენას, სხვანაირ ჰანგზე ააღერებს თავის ჩანგს და მთელ თავის პრაქტიკულ მოქმედებასაც მეტს აზრიანობას მისცემს.

მაგრამ, სანამ ამ საბოლოვო დასკვნამდე მივა საზოგადოებრივი აზრი, წინ ბევრნაირი დაბრკოლება გადაელობება, ბევრს მიხვეულ-მოხვეულს გაივლის იგი, სანამ სწორე შარა გზაზე გავა. ის აზროვნება, რომელიც გადაიშალა ქართველ საზოგადოების წინაშე „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის“ საზოგადო კრებაზე, ერთი ამ დაბრკოლებათაგანია. მოკლე ისტორია ამ ჯგუფისა ამნაირია: საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაარსდა „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი“. მან შეიმუშავა დემოკრატიული პროგრამა, მაგრამ მალე თავისავე მიერ შედგენილ დემოკრატიულ პროგრამას უღალატა და საარჩევნო ძალის მოსახვეჭად შეუერთდა ისეთს ჯგუფებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ მათს დემოკრატიულ პროგრამასთან. ამან ბიუროში უთანხმოება გამოიწვია, და სამმა წევრმა თავი დაანება. საზოგადო კრებამ ითათბირა ამ ინციდენტის გამო და ბიუროს უმრავლესობის მოქმედება მოიწონა. ასეთია საზოგადო სურათი ყველა იმისა, რაც ამ მოკლე ხანში მოხდა. მაგრამ, თუ ღრმად ჩაუკვირდებით ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრების ხასიათს, ბევრს რამეს საყურადღებოს დავინახავთ. ის, ვინც ამ კრებებს დაესწრო და გულ-მოდგინეთ ადევნა თვალყური, ეს საყურადღებო მხარე კამათისა არ გამოეპარებოდა. იყვნენ კრებაზე ისეთები, რომელნიც არავითარ სიცრუეს არ ერიდებოდნენ წინასწარ მიზნის განსახორციელებლად. უნდოდათ საზოგადო კრების ნდობა დაემსახურებინათ და ამისათვის იცრუეს კიდეც, რომ რუსთა ის ჯგუფი, რომელსაც ქართველ ამომრჩეველთა ცენტრი ბლოკით შეეკრა, მემარჯვენენი არ არიანო. კრებამაც გულ-უბრყვილოდ დაუჯერა მათ და ნდობა გამოუცხადა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც უშიშრად უყურებდნენ სინამდვილეს და ამბობდნენ, ტიმოშკინები და პურიშკევიჩებიც რომ იყვნენ, შეუერთდებით, რადგანაც ამას ქართველების დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვსო. ამისთანა პირებს ისინი, ვინც მემარჯვენეებთან ბლოკის წინააღმდეგნი იყვნენ, ფანტაზიორებად ეჩვენებოდათ უმრავლესობა კი სრულიად გულგრილად ეკიდებოდა იმას, თუ რა მიმართულებისა არიან ის რუსები, რომელთაც ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალური ბიურო ბლოკით შეეკრა. ყველა ამათ კი საერთოდ ახასიათებდა სურვილი შეკავშირებისა ყველასთან, ვინც კი ძალას შემატებდა. სომხებთან საბრძოლველად სომხებთან ბრძოლის სურვილი აკავშირებდა საზოგადო კრების უმრავლესობას ასეთი შეურიგებელი კილო უმრავლესობისა იმით უნდა აიხსნას, რომ ორიოდ-სამიოდ კაცის გარდა, სხვები სულ ქართულ **ბურჟუაზიის** წარმომადგენლები იყვნენ. შეცდარნი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო პირველი გამოსვლა ქართულ ბურჟუაზიის ჩანასახისა საზოგადო ასპარეზზე. გაუწვრთნელი იყო ეს მასსა, არავითარი პოლიტიკური ცნობიერება არ ემჩნეოდა მას, მაგრამ ერთი ფრიად დამახასიათებელი თვისება კი ემჩნეოდა: იმისი გული-ყური **სომხის ბურჟუაზიისკენ** იყო მიმართული. სომხის ბურჟუაზია ტფილისში გაძლიერებულია. დროთა ვითარებით, როდესაც ქართველი ხალხიც გამოვა ეკონომიურ კონკურენციის სარბიელზე, ქართველი

ბურჟუაზიაც გაიზრდება, მაშინ იგი პირის-პირ შეჰხვდება სომხის ბურჟუაზიას, რომელსაც უპირატესობაში შეეცილება. ამ ორ ელემენტთა შორის ეკონომიურს ნიადაგზე ყოველთვის იქნება ანტაგონიზმი. სწორედ ასეთს აზრებს ანვითარებდა ბ-ნი გიგო წულუკიძე საზოგადო კრებაზე, როდესაც თავის მოწინააღმდეგებს უკიჟინებდა, ამ პროცესს ვერა ჰხედავთო. ეს პროცესი მართლაც სწარმოებს და მის წინააღმდეგ ბრძოლა დაემსგავსებოდა ქარის წისქვილებთან ბრძოლას. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ქართველი ბურჟუაზია ყოველგვარ პოლიტიკურ ცნობიერებას უნდა იყოს მოკლებული. თუ ქართულ ბურჟუაზიას პოლიტიკური ცნობიერება არ ექნება, მის ბრძოლას სტიქიური ხასიათი მიეცემა და ამისთანა ბრძოლა კი გამარჯვებამდე ვერ მოიყვანს მებრძოლს. ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრებამ, რომლის უმრავლესობაც ქართველ ბურჟუაზიის ჩანასახს წარმოადგენდა, სწორედ ეს პოლიტიკური მოუმწიფებლობა გამოიჩინა. კრებაზე ორატორები ქართველების დაბეჩავებაზე მოსთქვამდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, ეს დაჩაგვრა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მეზობელ სომხის ერს ძლიერი ეროვნული ბურჟუაზია ჰყავს. ესეთი პრიმიტიული აზროვნება მხოლოდ ისეთს ადამიანს ან საზოგადოებრივ ჯგუფს შეჰფერის, რომელიც ახლად იდგამს ფეხს და ახლად ერკვევა პოლიტიკურს საკითხებში. იგი მხოლოდ მახლობელსა ჰხედავს, ცხოვრებისთვის ღრმად ვერ შეუხედია და ამიტომ მთელ მის მოქმედებასაც აზრი ეკარგება. საზოგადო კრებაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქართველ ხალხის საჭიროებაზე, მაგრამ არც ერთს მათგანს გათვალისწინებული არა ჰქონია, თუ რანაირ საბოლოვო მოქმედებას მოითხოვს ჩვენგან ამ ხალხის ეროვნული ინტერესები. უსუსური აზროვნება ამ სიმაღლემდე ვეღარა სწვდებოდა. პირიქით, ზოგს თავიც კი მოჰქონდა იმით, რომ ფანტაზიორებს მუჯლუგუნსა ჰკრავდა. ფანტაზიორებს კი საჭიროდ მიაჩნდათ, რომ მათი მოქმედება ეროვნულის იდეალით ყოფილიყო გაშუქებული. ის, ვისაცა სწამს ქართველ ხალხის მომავალი, ვერ იმოქმედებს, თუ წინ ამ იდეალის ლამპარი არ უშუქებს. ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრებამ კი მხარი დაუჭირა რუს მემარჯვენე ელემენტებს და ამით თავისი საკუთარი ძალ-ღონით მოისურვა ერთი არა სასურველ ელემენტის მაგიერ მეორის გაძლიერება.

რომელი მათგანი უფრო სასურველია, ან, უკედ რომა ვთქვათ, რომელი უფრო არ არის სასურველი, ამას დაინახავს ყველა, ვისაც კი ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც აქვს რუსეთის დღევანდელ პირობებზე. თუ მართალია ბ-ნ გიგო წულუკიძის აზრი, რომ ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრების უმრავლესობა ქართველ ახალგაზდა ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან შესდგებოდა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნაბიჯი ამ ბურჟუაზიისა პოლიტიკურ სიბეცეში გამოიხატა.

საინტერესოა არა ის, რომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი მემარჯვენე ელემენტებს შეუერთდა, არამედ ის, რომ ამ შეერთებაში გამოიხატა ქართველ ბურჟუაზიის ინდიფერენტიზმი ეროვნული იდეალისადმი. მას რომ ეს იდეალი ჰქონოდა, იგი სულ სხვანაირ მოქმედებას უკარნახებდა. ამ მხრით ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრების დადგენილება კარგს მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ქართული ბურჟუაზია პირველად გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და პირველადვე შეემჩნია ის ინდიფერენტიზმი და გაუგებრობა ეროვნულ იდეალისა, რომელიც ემჩნეოდა პირველ წერილში დახასიათებელ საზოგადოებრივ ჯგუფებს.

გ. ბარელი.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

საღამოს სხდომა.

კაპუსტინი თავმჯდომარეობს. განაგრძობენ სტოლიპინის მოკვლის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან წარდგენილ განმარტების განხილვას, მარკოვი მე-2-ე სენატორ მარკოვის სიტყვას სიხარულით ეგებება: დიდი ხანია მაგისთანა მტკიცე სიტყვა არა გვსმენიაო. მთავრობამ ებრაელები უნდა შეავიწროვოს, თორემ დაპირებებს ფასი არა აქვს და მემარჯვენენიც მწუხარედ იქნებიანო (მარცხნივ იცინიან).

გეგეჭკორი აცხადებს, სათათბიროს პატივსა ვცემ და მარკოვ მეორის სიტყვას არ ვუპასუხებო.

პურიშკევიჩი იგინება, მემარცხენენი ხმაურობენ.

თავმჯდომარე (პურიშკევიჩს): თქვენ უზრდელი სიტყვა წარმოსთქვით.

პურიშკევიჩი. ცილისწამებას ვუპასუხებდი.

გეგეჭკორი განაგრძობს: ცენტრმა და სათათბირომ პრინციპის საკითხი პროვოკაციისა და მთელის სისტემის კურლოვისა და კულიაბკოს საკითხად გადააქციეს. ცენტრს შეუძლიან მოსვენებით იყოს და მთავრობას მოწონების ფორმულა უძღვნას. სოც.-დემოკ. ჰგონიათ, რომ ტრაგიზმი მდგომარეობისა ცალკე ბოროტ-მოქმედება კი არ არის, მთელი სისტემაა. მოლაპარაკე ეხება მეორე სათათბიროს სოც.-დემ. პროცესს და ამბობს, შეთქმულნი ისინი კი არა, 3 ივნისის ხალხი იყოო (ძლიერი ტაში მემარცხენეთა და ხმაურობა მარჯვნივ, თავმჯდომარე ზარსა რეკს). გეგეჭკორი ისევ სათათბიროს სოც.-დემ. პროცესის შესახებ ლაპარაკობს, მას უშლიან მემარჯვენენი თავისი ხმაურობით, მემარცხენენიც მემარჯვენეებს რისათვის პროტესტს უცხადებენ. თავმჯდომარე სთხოვს გეგეჭკორს, მაგ თემას ნუ შეეხებიო. იგი განაგრძობს. ხმაურობა არა სწყდება. გეგეჭკორის ხმა აღარც კი ისმის. თავმჯდომარე თავს ანებებს თავმჯდომარეობას. გეგეჭკორიც ჩამოდის ტრიბუნიდან: სხდომა შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ **მილჯუკოვი** ლაპარაკობს. იგი ლაპარაკის ნებას **გეგეჭკორს** უთმობს. ხმაურობაა. თავმჯდომარე აცხადებს, გეგეჭკორს სიტყვა ჩამოერთვა. ვეღარ ილაპარაკებსო.

გეგეჭკორმა „ნაკაზის“ დარღვევის თაობაზე სალაპარაკოდ მიიღო სიტყვა და სთქვა, ყოველ წევრს შეუძლიან სიტყვა სხვას დაუთმოსო. **ჩხეიძე** პროტესტს აცხადებს "ნაკაზის" დარღვევის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

პურიშკევიჩი. სოციალ-დემოკრატები მასხარად გვიგდებენ, რაც საიდუმლო კრებამ განიხილა, ეხლა საჯაროდ გამოაქვთ. თავმჯდომარე ხელმეორედ აძლევს სიტყვას მილჯუკოვს. მემარცხენენი იძახიან: „ნაკაზი“ წაიკითხეთ. სიტყვა გეგეჭკორს ეკუთვნის“. ხმაურობის დროს ტრიბუნაზე გეგეჭკორი ადის. მემარჯვენენი ყვირიან: დაიკარგე „დაიკარგე აქედან!“ თავმჯდომარეც სთხოვს გეგეჭკორს ტრიბუნის მიტოვებას. მემარცხენეთა ძახილი: „სხვას არ ვალაპარაკებთ“. „ძალმომრეობაა!“ გეგეჭკორი ტრიბუნიდან არ ჩამოდის. თავმჯდომარე კიდევ სთხოვს გეგეჭკორს ტრიბუნის მიტოვებას. იგი არ ემორჩილება. დიდი ხმაურობაა. თავმჯდომარე მოითხოვს გეგეჭკორის დღევანდელ სხდომიდან განდევნას. გეგეჭკორს განმარტების უფლება მისცეს.

გეგეჭკორი. მე კი არ უნდა განვმარტო ჩემი მოქმედება, არამედ იმან, ვინც სხდომიდან ჩემს განდევნას მოითხოვს. „ნაკაზით“ ყველას ეძლევა ლაპარაკის უფლება.

შულგინი მე 2 (ადგილიდან) კავკასიელთა თავხედობა!

ჩხეიძე. ბილწო, არამზადავ!

ტიმოშკინი. შეკუმშულ ქაღალდს ესვრის ჩხეიძეს. ამისთვის თავმჯდომარე ითხოვს ტიმოშკინის სამი სხდომიდან განიდევნოს. (ტაში სცემა და ხმაურობაა).

გეგეჭკორი. ლაპარაკს განაგრძობს და ამტკიცებს, წესდებით ყველასა აქვს უფლება ლაპარაკისა, დღეს კი წესდება რამდენიმეჯერ დაარღვიესო. მე უფლება მქონდა სიტყვის მოთხოვნისა და თავმჯდომარემ სიტყვა რომ არ მომცა. დეპუტატის პიროვნება შეელახაო (მემარცხენეთა ტაში, მარჯვნივ ხმაურობა) თავმჯდომარე მარჯვნიდან წარმოთქმულ სიტყვებს აჰყვა და თავისი ღირსება იმდენად დაამცირა, რომ მემარჯვენეთ გაუთანასწორდა. თუ მე გამომრიცხა სათათბირომ, იგი დაადასტურებს სამარცხვინო საქციელს, რაც გამოიწვია თავმჯდომარემ თვისი უილაჯობით. 161 ხმით 106 წინააღმდეგ გეგეჭკორი დღევანდელ სხდომიდან გამორიცხეს.

ტიმოშკინი ამბობს, იმიტომ ჩავიდინე არასაკადრისი საქციელი, რომ ვერ მოვითმინე, როდესაც უცხოელმა ჩხეიძემ რუს შულგინს შეაგინაო. სათათბირომ იგი ერთი სხდომიდან გამორიცხა.

ლაპარაკობს **კედეშოვსკი.** მარცხნივ ძახილია: „ძირს! არ ვალაპარაკებთ, არა!“ სოც. დემ. პიუპიტრებს აბრახუნებენ, მოლაპარაკის ხმა არც კი ისმის, თავმჯდომარე სტოვებს თავის ადგილს და სხდომა შესწყდება.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე ამბობს, ჩხეიძე და ზახაროვი მე-2 ხმაურობდნენ ყველაზე ძლიერ, გამოვრიცხოთ დღევანდელ სხდომიდანაო.

ჩხეიძემ განსამარტებლად ლაპარაკის ნება მიიღო. მე ამხანაგს გეგეჭკორს გამოვესარჩლე და ამიტომ ვიქეცოდი ასეო. შემდეგ ჩხეიძე სოც.-დემ. ფრაქციის საქმესა და შეკითხვას უკავშირებს ერთმანეთსა. თავმჯდომარე სთხოვს, მაგას ნუ შეეხებით, ვინაიდან საიდუმლო კრებამ გაარჩია ეგ საგანიო და შემდეგ სიტყვაც წაართვა. ჩხეიძე დიდ-ხანს ეკამათება თავმჯდომარეს, აღნიშნავს, ეს ახალი ძალადობააო და ტრიბუნიდან ჩამოდის. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, ჩხეიძე შვიდ სხდომიდან გამოვრიცხოთო.

ჩხეიძე. ტრიბუნაზე ადის. ხმაურობაა. მარცხნივ იძახიან: „გთხოვთ, ჩხეიძეს განსამარტებლად ლაპარაკის ნება მისცეთ. ჩხეიძე სტოვებს ტრიბუნას დიდ ხმაურობასა და ძახილის დროს, თანაც ამბობს, ეტყობა, სათათბიროში სიმართლის თქმა შეუძლებელიაო. სიტყვა მიეცა მოქმედების განსამარტებლად ზახაროვს.

ზახაროვი. როცა სათათბიროს უმცირესობას შეურაცხყოფენ, შეუძლებელია სხვანაირად (მემარცხენეთა ძახილი: „მართალია“, ტაშს უკრავენ). **თავმჯდომარე** რას ლაპარაკობს, არ ასმის. საერთოდ დიდი ხმაურობაა. თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა **თ-დმა ვოლკონსკიმ:** სიჩუმე ჩამოვარდა. ზახაროვ მე-2 სხდომიდან გააძევეს. ეჭვი გამოსთქვეს, კენჭი ვუყაროთ თუ არა ჩხეიძის განდევნის საკითხსაო. თ-დმა ვოლკონსკიმ სტენოგრამა წაიკითხა და ჩხეიძე 7 სხდომიდან აღმოჩნდა გაძევებული.

ლაპარაკობს კედეშოვსკი.

კუზნეცოვი. თავის ადგილიდან: „სიტყვა გეგეჭკორს ეკუთვნის!“

თავმჯდომარე აფრთხილებს კუზნეცოვს. კუზნეცოვი იმეორებს ნათქვამს. წამოაყენეს საკითხი კუზნეცოვის სხდომიდან გაძევებისა.

კუზნეცოვმა მოქმედების განსამარტებლად სიტყვა მიიღო. კუზნეცოვიც სოც.-დემოკრატთა ფრაქციის საქმის თაობაზე ლაპარაკობს.

თავმჯდომარე სთხოვს ლაპარაკი გაათავოს. კუზნეცოვი არ ემორჩილება. თავმჯდომარე ერთის მაგივრად კუზნეცოვის 7 სხდომიდან გაძევებას მოითხოვს. **კუზნეცოვი** ისევ მეორე სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციის შესახებ ლაპარაკობს. **თავმჯდომარე** უშლის და წინადადებას იძლევა 15 სხდომიდან გავაძეოთ კუზნეცოვიო. კუზნეცოვი მაინც არა სცხრება. ცენტრსა და მარჯვნივ ძახილია: „გვეყო ამდენი, შეგვიბრალეთ, ნუღარ ლაპარაკობთ!“

კუზნეცოვი. მე სხდომის დახურვამდე ვილაპარაკებ, ვინაიდან დღეს სოც. დემ. ჯერია ლაპარაკისა და სხვას არ ვათქმევინებთ რასმე.

თერთმეტს საათსა და 30 წუთზე **თავმჯდომარე** აცხადებს, კუზნეცოვის გაჩერება ვერ შევძელ, და წესდებითაც ნება აქვს ერთი საათი ილაპარაკოსო. სხდომა ინციდენტის გათავებამდე გაგრძელდა. კუზნეცოვმა სიტყვა გაათავა დიდ ხმაურობის დროს, **კუზნეცოვი** იგი 150 ხმით 61 წინააღმდეგ 15 სხდომიდან გააძევეს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართლ-კახეთის ხაზინის კანტორის პროკურორი** ქუთაისიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **საქალაქო არჩევნები.** საარჩევნო კრებებზე შესასვლელი ბილეთი დღემდე სულ 987 ამომრჩეველმა წაიღო.

— **ხმოსნობაზე** ყუთის დადგმის სურვილი ქალაქის გამგეობას გუშინ

ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან

პირველი საფუძველი ბუნების ფილოსოფიისა.

II.

მთელს ჩვენს თანამედროვე განათლებას საძირკვლად კლასიკური ქვეყნების მიერ შექმნილი კულტურა უძევს. ბერძნებმა გვიანდერძეს უაღრესად განვითარებული ფილოსოფია, მეცნიერება და ხელოვნება. რომაელებმა უფლებრივი შემეცნება და სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების პრინციპები. თავის მხრივ ეს კლასიური კულტურა ქალდეა წინაპრების მხრებზე სდგას. ბერძნები ეგვიპტელების, ქალდეველების, სპარსელების და ინდოელების ნიჭიერი მოსწავლენი არიან. მაგრამ ჩვენ, დღევანდელი ადამიანები, აღარ ვგრძნობთ შინაგანს ნათესაობას ამ ჩვენს შორეულს წინაპრებთან. მაშინ, როცა ელინური კულტურის ქმნილებანი დღეს ჩვენც ისე გვათბობენ და გვაღელვებენ, როგორც ოდესღაც მათ შემომქმედთ, იმ აღმოსავლეთის ხალხთა მიერ დატოვებული ძეგლები მხოლოდ გაოცებას და ცნობისმოყვარეობას იწვევენ.

ეს სრულიადაც არაა გასაკვირველი. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბერძნები პირველი ისტორიული ხალხია ამ სიტყვის ღრმა და ჭეშმარიტ მნიშვნელობით. ძველს ეგვიპტურს, ასირიულს და ბაბილონურს კულტურას უმოძრაობის და უცვლელობის ბეჭედი აზის. ის უზარმაზარი პირამიდები, სფინქსები, აკლდამები, ტაძრები და დარბაზები, რომელთა ნანგრევები დღესაც ბევრი მოიპოვება, ნილოსის, ეფრატის და ტიგროსის ნაპირებზე ისევე დიადნი და ერთფეროვანნი არიან, როგორც ამ სადმრთო მდინარეების მიდამოები. თითქოს იქ კაცობრიობა ასი და ათასი თაობის განმავლობაში თავისსავე თავს იმეორებდა მხოლოდ გარეგნული მონუმენტალობის და შეურყევლობის იდეით გატაცებული.

რა რიგ ახლონი არიან, პირიქით, კლასიური დროის ბერძნები ჩვენ მუდმივ მაძიებელს, მოუსვენარს და ცვალებადს ბუნებასთან. მთელი მათი შემოქმედება განუზომლად მრავალმხრივია და ინდივიდუალურად გამოკვეთილი, როგორც იმ ნახევარ კუნძულთა და პაწია კუნძულთა კონა, რომელთ ტერიტორიაზე ის აღმოცენდა, მაგრამ ამ განსაცვიფრებელს ცვალებადობასა და მრავალმხრივობაში შინაგანი ჰარმონია და მთლიანობაა დაცული.

ამ შემოქმედებას ორი ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს ყველაზე ნათლად: უბრალობა და სულიერი შინაგნობა. ესაა რაც კლასიურ ძეგლებს მუდმივ უკვდავ ჰყოფს ჩვენს მახსოვრობაში. ყოველივე, რაც ბერძნებმა შექმნეს ხელოვნების და მსოფლიო მხედველობის სფეროში მშვენიერია, მიტომ რომ ის უბრალოა და ძლიერია, მიტომ რომ ის სულიერი შინაარსითაა გამსჭვალული. საკმაოა იონიური ტაძარი შევადაროთ დღევანდელ მრავალ სართულიან ყაზარმებს, ან თუნდა ძველ ეგვიპტელების, ქალდეველების მონუმენტებს, რომ აშკარად დავინახოთ, თუ რაში მდგომარეობს იდეა უბრალო მშვენიერებისა.

ამ მხრივ ბერძნები სჭარბობენ არა მარტო თავის აღმოსავლეთელ წინაპრებს. თანამედროვე ევროპაც კი, რომელიც ხშირად მსაჯულის პოზით ზის წარსულ ეპოქათა წინაშე და თავის თავს პროგრესის უკანასკნელ საფეხურად აღიარებს. შინაგანი კულტურის მხრივ ბევრ მხრივ ჩამორჩენილია იმ ამაღლებულს იდეალებს. მიტომ რომ, ეჭვი არ არის, გარეგნული სიდიდე და მონუმენტალობა სრულიადაც არ ნიშნავს სიდიადეს და მატერიალურ ბრწყინვალებასა და სიმდიდრესთან ხშირად შინაგანი სიღატაკე და სიბეჩავე შეკავშირებული. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ კლასიურ ქვეყნის მიერ ნაანდერძევს მაგალითებს ჩვენ ზოგიერთ დარგში ვერასოდეს გადავაჭარბოთ მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჰაეროპლანებით დავსეირნობთ, ელექტრონის მანქანებს ვამოძრავებთ და ბაბილონის გოდოლთ ვაშენებთ. შინაგანი კულტურა უწინარეს ყოვლის აზროვნების და გრძნობის სიფაქიზეში მდებარეობს, ეს სიფაქიზე კი თან დაყოლილი ნიჭია კეთილშობილ სულისა.

—

როგორც სხვაგან ისე ფილოსოფიის სფეროშიც ბერძნებმა ისარგებლეს იმ დაუმუშავებელი მასალით, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნების სიბრძნეში იყო გაბნეული, მაგრამ როგორც სხვაგან ისე აქაც, იმათ თავისი ეროვნული სულის ბეჭედი დააჩნიეს შემოქმედებას. თავის მიმდები და ორიგინალური გონების შემწეობით ისინი ასცდნენ როგორც უნიჭო წაბაძულების სცილლას, ისე ეროვნულ კარჩაკეტილობის ხარიბდას.

ამიტომ ადვილი გასაგებია ის მოვლენა, რომ ახლად ფეხადგმული ფილოსოფიური აზროვნება უწინარეს ყოვლისა ახალშენებში განმტკიცდა და გაიზარდა, მცირე აზიის ახალშენებში, სადაც ბერძნების და უცხოელების კულტურა აღებმიცემობის და მისვლა-მოსვლის წყალობით ერთი მეორეს დაუახლოვდა მეშვიდე და მეექვსე საუკუნეში. უპირველესი ადგილი მცირე აზიის ახალშენებში კი სიმდიდრით და მნიშვნელობით ქალაქ მილეთს ეჭირა, რომელიც თავისი სავაჭრო ხომალდებით მთელს მაშინდელს ცნობილს ქვეყანასთან იყო შეკავშირებული.

ადვილი გასაგებია ისიც, რომ ახლად აღმოცენებული სპეკულაცია უწინარეს ყოვლისა გარეგანი ბუნების აზრის და არსების გამორკვევას შეუდგა. პირვანდელი სპეკულაცია არის არა კულტურის ფილოსოფია, არა ფსიხოლოგია, არამედ ბუნების ფილოსოფია, კოსმოლოგია.

არსებობს რამოდენიმე თვალსაჩინო მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს იმ თავითვე ნატურფილოსოფიურ, კოსმოლოგიურ პრობლემის წინწამოყენებას. ადამიანის ბედისა და უბედობისთვის ბუნების შესწავლას მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე სულიერი ცხოვრების ან კულტურის კანონების გამოკვლევას. ის ბევრად უფრო ადვილიცაა ნაკლებ გაწვრთნილი გონებისთვის. ბუნება ადამიანის ხუთსავე გარეგნულ გრძნობას ეუბნება რასმე, მაშინ როცა ფსიხიურ განცდათა შესათვისებლად არც მხედველობა, არც სმენა, არც სხვა ამგვარი ნიჭი არა კმარა, არამედ განვითარებული თვითდაკვირვება და რეფლექსიაა საჭირო. ფსიხიურნი მოვლენანი ნაზნი, მიუწდომელნი და არსებითად განუმეორებელნი არიან. მათი შინაგანი კანონის და აზრის გასაგებად შედარება და არჩევაა საჭირო, ეს შედარება კი მეტის მეტად ძნელია. ყველა მკვლევარისთვის უშუამავლოდ მხოლოდ საკუთარი სულიერი განცდა არსებობს, სხვისი შინაგანი ცხოვრება კი თავის თავად მუდმივ მიუწდომელია მისთვის. მხოლოდ გარეგნულ გამომხატველ მოძრაობათა შემწეობით სჯის ის, თუ რა ხდება თანაარსების სულიერს სიღრმეში. ეს გარეგნული მოძრაობა კი ხან გამჭირვალი პირბადეა, ხან შავი ნიღაბი. ამიტომ უდიდესი საიდუმლოება მაძიებელ ადამიანისთვის ადამიანისვე შინაგანი პიროვნებაა.

ანალოგიური წინააღმდეგობა არსებობს ბუნებასა და კულტურის შორის. გარეგნულს ბუნებაში მნიშვნელოვანნი არიან ისეთნი მოვლენანი, რომელნიც მეორდებიან, კაცობრიობის კულტურაში—ისეთნი, რომელნიც განუმეორებელნი ინდივიდუალობის ბეჭედს ატარებენ. ამიტომ ბუნებრივი კანონის აღმოსაჩენად მონათესავე მოვლენათა შედარებაა საკმაო, კულტურას აზრის გასაგებად კი თვითეული ინდივიდუალობის დამოუკიდებელი გამოკვლევა და შესწავლა. მეხის და ჭექა-ქუხილის მოვლენის გამოსააშკარავებლად სრულიადაც არაა საჭირო იმის ცოდნა, რომ მეხმა განსაზღვრულს დროს, განსაზღვრულს ადგილას განსაზღვრული ხე დაამტვრია, ბეთჰოვენის გასაგებად კი აუცილებლად იმის გათვალისწინებაა საჭირო, რაც მათ ბეთჰოვენად ჰხდის და სხვა მუსიკალურ მგოსნებიდან არჩევს. ბუნებრივ მოვლენის „ბუნებრივობა“ მის განმეორებაში მდგომარეობს, კულტურული მოვლენის ფასი და მნიშვნელობა კი მის ორიგინალობასა და შეუდარებლობაში. ყოველ დღე რომ ნაპოლეონები იბადებოდეს, იმ დიდს ნაპოლეონს სრულიად დაეკარგებოდა თავისი ადამიანური ღირებულება...

პირველი ბერძენი კოსმოლოგი მეექვსე საუკუნის დასაწყისში (ქრისტეს შობამდე) მილეთელი თალესია, ბრძენი და პოლიჰისტორი, როგორიც მხოლოდ კულტურის შესავალშია შესაძლებელი. ის იყო სოვდაგარი, სახელმწიფო მოღვაწე, ვარსკვლავთ მრიცხველი, ინჟინერი და მათემატიკოსი ერთსა და იმავე დროს. ხანგრძლივი მოგზაურობის შემწეობით მან შეიძინა ფართე მსოფლიო მხედველობა, რომელიც წიგნების უქონლობის გამო სხვაფრივ მიუწდომელი იყო მაშინდელს დროში. ეგვიპტეში ის მოგვების სიბრძნეს გაეცნო. თავის მხრივ მან მათ თავისი მათემატიკური, განსაკუთრებითი გეომეტრიული ცოდნა გადასცა, სხვათა შორის, ჩრდილის შემწეობით თვალთ-უწვდენელი პირამიდების სიმაღლის გაზომვა ასწავლა. მდგომარე ადამიანის ან სხვა რაიმე ადვილად გასაზომი ვერტიკალური სხეულის ჩრდილი ისეთს პროპორციონალურს დამოკიდებულებაში იმყოფება ამ ადამიანსა ან სხეულთან, როგორშიც პირამიდის ჰორიზონტალური ჩრდილი თვით პირამიდასთან. ამ პროპორციაში სამი საგნის გაზომვა ადვილია: ადამიანის, მისი და პირამიდის ჩრდილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილი განუცხადეს: მესტამბემ ლიბერმანმა (მეხუთე უბნიდან) და გ. მ. მირიმანოვმა (მე-6 უბ.).

— საარჩევნო თავმჯდომარეთა თათბირზე დადგენილ იქმნა, საარჩევნო კრებები საღამოს სრულს 6 საათზე დაიხუროს და ამის შემდეგ კენჭები დაითვალოს. თუ ამ დრომდე უკვე დარბაზში იქნება ამომრჩეველი, ნება აქვს კენჭი ჩააგდოს ყუთში. არჩევნების შედეგი აუცილებლად ამავე დღეს უნდა იქმნეს სრულიად გამორკვეული. ამას გარდა გადასწყდა, დამატებითი არჩევნები ამავე დღეს არ მოახდინონ.

◆ **მეფუტკრეობის საზოგადოებამ** ტფ. გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს, 20-დან 31 დეკემბრამდე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მეფუტკრეობის იარმუკა გამართოს.

◆ **სამღვდელოების საარჩევნო წესების გაუქმება.** უწ. სინოდს გაუუქმებია საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების საარჩევნო წესები, თანახმად საქართველოს ექსარხოსის ინოკენტის მოხსენებისა. ეს წესები 1905 წელს იყო შემოღებული.

◆ **ლომონოსოვის დილა.** 27 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სახალხო სახლში ლომონოსოვის დილას გამართავს. დასაწყისი დილის 10 ნახ. საათზე.

◆ **ყასბების საჩივარი.** როგორც ვწერდით, ყასბები ხორცის ნიხრის მომატებას თხოულობენ. ქალაქის სამეურნეო კომისიამ განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა, ძველი ნიხრი კვლავ დასტოვოს, რადგან საქონლის ფასს არ აუწევია.

◆ **იშვიათი მოგზაური.** ამ დღეებში ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა ავსტრიის ქვეშევრდომი ლაკონი, რომელსაც განუზრახავს მთელი ქვეყანა ფეხით მოიაროს. მას გაუვლია დასავლეთ ევროპის ერთი ნაწილი, აფრიკა და შემდეგ სპარსეთით კავკასიაში ჩამოსულა. აქედან კახეთით განჯას წავა. ლაკონს თან აქვს აუარებელი ფოტოგრაფიული სურათი სხვა და სხვა ადგილისა. ამ იშვიათმა მოგზაურმა ტფილისში რამდენიმე დაწესებულება დაათვალიერა. ტფ. გუბერნატორმა მას მოწმობა მისცა, რათა კახეთში მოგზაურობის დროს დახმარება აღმოუჩინონ. ლაკონს მოგზაურობა 1905 წელს დაუწყია.

◆ **ახალი პიესა.** საცენზურო კომიტეტს ნებადასართველად წარუდგინა ივ. მჭედლიშვილის 4 მოქმედებიანი ტრაგედია: „ყაჩაღი ქერიმა“.

◆ **ხორცის ნიხრს** ქალაქის სამეურნეო კომისიამ ნახევარ-კაპეიკი მოუმატა. ამ რიგად გირვანქა ხორცი 11 კაპ. ეღირება. კომისიამ ამასთანავე დაადგინა, საცდელად საქონელი დაჰკლას და ნიხრი იმის მიხედვით დააწესოს.

◆ **ცეცხლი.** წელს ტფილისში ცეცხლი გაჩენილა 160-ჯერ, მაშინ, როდესაც წინად ასეთი შემთხვევა მხოლოდ 50—60 იყო. ამის გამო პოლიცმეისტრის თავმჯდომარეობით 24 ნოემბერს კრება ჰქონდა საგანგებო კომისიას, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობისა და დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენელნიც დაესწრნენ. კრებაზე გამოირკვა, რომ ცეცხლის გაჩენის სიხშირეს განსაკუთრებით იწვევს კვამლის სადენ მილების მოუწყობლობა. კომისია ამ დღეს რაიმე გარკვეულს აზრს ვერ დაადგა და დაადგინა, კრება კვლავ გამართოს საქმის მცოდნე პირთა თანადასწრებით.

◆ **სამღვდელოების შორის.** 9 დეკემბერს ტფილისში მოხდება საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების კრება.

◆ **სახულიერო უწყებაში.** როგორც გავიგეთ, ალავერდის ეპისკოპოსი დავითი გორის ეპისკოპოსად ინიშნება, ხოლო ალავერდის ეპისკოპოსად-საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინი არქიმანდრიტი ანტონი. უკანასკნელის ალაგას ინიშნება ნათლის მცემლის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), რომელიც რუსეთიდან ამას წინად იქმნა გადმოყვანილი.

◆ **24 ნოემბერს ტფილისში 22 უპასპორტო შეიპყრეს.**

◆ **ტფილისში შეიპყრეს სერგო სერგოს ძე ბეჟნასტნი და ალექსი იაგორის ძე გიკაშვილი, რომელნიც, პოლიციის ცნობით, ხელობით ქურდები არიან.**

◆ **24 ნოემბერს, დილის 11 საათზე, პავლოვის ქუჩის ბოლოზე, კლდის მტვრევის დროს უცებ კლდე ჩამოწყდა და ქვეშ მოიტანა მუშა, გორის მაზრის სოფ. კავთისხევის გლეხი შიო იოსების ძე ჯაჯიშვილი, რომელიც კლდის ქვეშიდან დანარჩენმა მუშებმა ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს. ჯაჯიშვილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ჩქარა გარდაიცვალა.**

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე საზოგადოების მდივნის თანამდებობაზე ვ. ი. რცხილაძე და მ. ა. ვერმიშევი დაასახელა.

◆ **საგეოგრაფიო საზოგადოების** მეთვალყურე კომიტეტის კრება 23 ნოემბერს მოხდა ნამესტნიკის თანაშემწის სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით. კრებამ ორი კომისია აირჩია. პირველს დაევალა, შეადგინოს პროგრამა კავკასიის სისტემატიურად გამოკვლევისა. მეორეს დაევალა, იზრუნოს, რათა დაცულ იქმნეს კავკასიის ბუნების ნაშთნი. საზოგადოების საერთო კრება 7 დეკემბერს მოხდება.

◆ **ქალაქის საბჭო.** 24 ნოემბრისთვის დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც უნდა განეხილა ქალაქის 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ კრება არ შესდგა, რადგანაც ხმოსნებმა კრებაზე მოსვლა არ მოისურვეს.

სასამართლო.

◆ **ტფ სამოსამართლო პალატის სესია**, რომელიც განჯას იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა. სესიასთან ერთად პალატის უფროსი თავმჯდომარე ნ. ნ. ლაგოდაც დაბრუნდა.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს პროკურორი ნ. ა. გრომოვი** სამსახურის საქმეთა გამო თელავის მაზრაში გაემგზავრა.

◆ ტაგანროგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კულიბანი ტფ. სამოსამართლო პალატის წევრად დაინიშნა.

◆ მოსკოვის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი პუზირევსკი ტფ. სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგად დაინიშნა.

◆ **იოსებ იმედაშვილის საქმე.** კავკასიის სამხედრო სასამართლომ 23 და 24 ნოემბერს იოსებ იმედაშვილის საქმე გაარჩია. ბრალდებოდა კავშირი სოციალ დემოკრატიულ პარტიასთან. სასამართლომ იმედაშვილი დამნაშავედ იცნო და 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

რკინის გზა

◆ **ამიერ-კავკას. რკინის გზის კონტროლის მთავარი კონტროლიორი სავიცკი** შუა აზიის რკინის გზის მთავარ კონტროლიორის თანაშემწედ დაინიშნა.

ქუთაისი

◆ **მკურნალის გიმნაზიის** მმართველ-გამგეებმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცეს, ჩაიბაროს ეს გიმნაზია. ამ გიმნაზიაში ამ ჟამად 6 კლასია და სამასამდე ბავშვი სწავლობს.

პროვინცია

◆ **სოფ. ახალგორი** (დუშეთის მაზრა). გაიხსნა სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლადაც ელ. ყიფშიძე დაინიშნა.

— აქაურ ქსენონის გამგედ ექიმი არონ ბალაშვილი დაინიშნა.

◆ **სოფ. გრემისხევი** (დუშეთის მაზრა). აქ მოჰკლეს მემამულე გრიგოლ მიქელიშვილი.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

23 ნოემბერი.

პეკინი. ქვრივმა დედოფალმა რეგენტის დაყენებით თხოვნა შეიწყნარა და ბრძანებით ნებას აძლევს რეგენტობას თავი დაანებოს და კერძო ცხოვრებას მიეცეს. ნარეგენტალს ჯამაგირად წელიწადში 90 ათასი მანეთი ექნება. ყველა საქმეების მართვა-გამგეობა მინისტრთა საბჭოს ჩაბარდა. მცირე-წლოვან იმპერატორს მზრუნველად შისული და სუიშიჩასი მიუჩინეს. დედოფლის ბრძანება ბატონიშვილთ ერთობისაკენ მოუწოდებს, რადგან ქვეყანა გაჭირებულ მდომარეობაშიაო. შემდეგ იმედია გამოთქმული, ჩვენს კეთილ განზრახვათ დაიჯერებს ხალხიო.

ბრძანებით ყველას ნება მიეცა თმის მოკრეჭისა. მეორე ბრძანება მინისტრთა საბჭოს ავალებს მზის კალენდარის შემოღებას. უჩანის ზავი 15 დღემდე გაგრძელდება. ნანკინის დამცველმა ჩჟანსუნმა ორი ათასის კაცით სუიჩეოუფუსაკენ დაიწია. ამბობენ, იმპერატორის და თავადთა სასახლეში მსწრაფლ მსროლელები დასდესო.

კუანჩენში. მოანშანს გაგზავნილი პოლიციელთა რაზმი აჯანყებულებმა დაამარცხეს: სამი კაცი მოუკლეს, რამდენიმე დაუჭრეს.

შანჰაი შანჰაის ჩინელები ნანკინის აღებამ ძლიან კარგ გუნებაზე დააყენა მაღაზიებს სარევოლუციო დროშები ამშვენებს. რევოლუციონერები შეძლებულ ჩინელებში ფულს აგროვებენ. რევოლუციონერთა მთავრობამ საელჩოს კორპუსს შეატყობინა, შანხაიში მდგარი ყველა უცხოელთა გემი უნდა გაიჩხრიკოთო.

ხარბინი. ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლაში მთავრობის ჯარმა გაიმარჯვა და რევოლუციონერებს ლუერპუსაკენ დაახევინა. ლიაოიანის რაზმის დასახმარებლად მუკდენიდან 400 ქვეითა ჯარის-კაცი მოვიდა და 6 ზარბაზანი მოიტანა

მუკდენი. ვიცე-კოროლმა გამოაცხადა, ვისაც იარაღი ან პროკლამაცია აღმოაჩნდეს, ხუნხუზად ჩასთვალეთ და თავი მოჰკვეთეთო. ამ განკარგულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ადმინისტრაციის ნაწილი ამ ბრძანებას არ დაემორჩილა. რევოლუციონერებმა ვიცე-კოროლს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

უჩანი. რევოლუციონერთა დასახმარებლად ცზიანსისა და კანტონის ჯარი მოვიდა. მას გზაში ოთხი სამხედრო გემი იცავდა. თერთმეტ პროვინციათა წარმომადგენლებმა დროებით მთავრობისა და ფედერალურ რესპუბლიკისთვის წესები შეიმუშავეს.

ირკუტსკი. მთელ მონგოლეთში ტელეგრაფი გაფუჭებულია. ირკუტსკსა და პეკინს შორის ურთიერთობა შეუძლებელია. კიახტის მაიმაჩენში ძლიან აღტყინებულ გუნებაზე არიან, მკვიდრთა თხოვნისამებრ რუსის კომისარნი სცდილობენ სინელთა და მონგოლთა შეტაკებას ხელი შეუშალონ. რუსის ქვეშევრდომი ბურიატები მონგოლეთის ამბებს გულ-გრილად ეკიდებიან.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები.

24 ნოემბერი.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: „ყველა გონიერ სპარსელისა, ინგლისელისა და რუსის სურვილი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობის შექმნა, რაც სპარსეთის ახალ წესწყობილების გამაგრებას ხელს შეუწყობს. მშვიდობიანობისა, სპარსეთის წესიერებისა და რუსეთის სახელისთვის იმაზე უფრო მავნებელი არ იქნება, როგორც ნაშაჰარის თეირანს დაბრუნება“.

ლორდთა პალატა. კერზონმა საკითხი აღძრა, რა პოლიტიკას ადგია ინგლისი სპარსეთის საქმეებშიო. ამის გამო გამართულ კამათში მორლეიმ განაცხადა, რუსეთსა ჰსურს სპარსეთში დაამყაროს წესიერება და თავის დღეში სპარსეთის ხელშეუხებლობის პრინციპს არ უღალატებსო. რუსის მთავრობამ დაგვარწმუნა, ჩემგან მიღებულ ზომებს დროებითი ხასიათი აქვს და არც ინგლის რუსეთის ხელშეკრულებას დავარღვევთო.

თეირანი. ბაზრები დაკეტილია. დემონსტრაციებიც ისევ იმართება. სიცივე დაიწყო და ცოტათი დამშვიდდნენ კიდეც. ეფრემის მოსვლის შემდეგ, ქალაქში წესიერება თითქმის აღარ დარღვეულა. სარდარ-ასადმა ყველა წოდებათა წარმომადგენელნი ინახულა, მაგრამ ჯერ არაფერს აპირებს. სარდარ-ასადმა განაცხადა: მესმის ერის გრძნობა, მაგრამ თუ ბრძოლის მოწოდებას თავს არ დავანებებთ, ჩრდილოეთ სპარსეთს დავკარგავთო.

ვენა. დეპუტატთა პალატა. თავმჯდომარემ მიღებული ორი დეპეშა წაიკითხა: სტამბოლის სპარსთა

მათ შემწეობით პირამიდის სიმაღლის აღმოჩენა კი უბრალო მათემატიკური მოქმედებით შეიძლება.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან თავისს თანამემამულეებს შორის, სახელი მოიხვეჭა განსაკუთრებით თავისი ასტრონომიული და მეტეოროლოგიური ცოდნით. სხვათა შორის, მან მათ 515 წლის 28 მაისის მზის დაბნელება უწინასწარმეტყველა, რითაც მათი უსაზღვრო განცვიფრება და პატივისცემა გამოიწვია.

დასწერა თუ არა რაიმე თალესმა ეს ჩვენ არ ვიცით, ყოველს შემთხვევაში ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთს სტრიქონს, რომელიც მის კალამს ეკუთვნოდეს. ყველაფერი, რაც ჩვენ ამ კოსმოლოგთა მამამთავარის შესახებ ვიცით, არისტოტელის გადმოცემულია. ამ მოწმის მიხედვით მას ეკუთვნის ის ფრაზა, რომელშიაც მშვენივრად იხატება ჰილოტოისტური აზროვნების ძირითადი რწმენა: „ყველაფერი აღსავსეა ღმერთებით“ —უთქვამს მილეთელს ბრძენს. ეს სიტყვები ყველაზე შორს დუალისტურს განმარტებასთან სდგას. „ღმერთები“ თალესისათვის არ არიან რაიმე გარეშე დამოუკიდებელნი ძალნი, რომელნიც მკვდარს ნივთიერებაში შედიან და სულს უდგამენ. არა, თვით ნივთიერება არის გამსჭვალული ღვთაებრივით, თვით ის არის იმ თავითვე განცხოველებული და სულჩადგმული, უსაზღვრო და მუდმივი ძალით გაჟღენთილი.

ჰილოტოიზმი დამახასიათებელია არა მარტო თალესისა და იონიური ნატურფილოსოფიისა, არამედ ბერძნების მთელი პოპულიარული მსოფლიო მხედველობისათვის. მისთვის არ არსებობს წინააღმდეგობა მატერიასა და სულსა, მკვდარს ნივთიერებასა და სულისჩამდგმელს პრინციპს შორის. ცხოვრების მაჯა სცემს თვით არა ორგანიული ბუნების, თვით უბრალო ქვის, თვით ცივი ლითონის შუაგულში. მუდმივ უკვდავი იდუმალი ძალა ანათესავებს ადამიანს, ცხოველსა და მცენარეს, მზესა და მთვარესა, ცეცხლსა, ჰაერსა და წყალთან და ამით მის ობლობას, თვით მის ინდივიდუალობის მოსპობას სისასტიკის და შეუბრალობის ხასიათს აცლის.—მიუწდომელი პოეზიითაა გამსჭვალული მთელი ეს მსოფლიო მხედველობა და ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ მან გავლენა იქონია ისეთს ადამიანებზე, როგორიც არის გოეთე, შოპენჰაუერი და ფეხნერი.

რა არის ამ არსებობის საფუძველი, რა არის ის ძირითადი ნივთიერება, ის „არხეე“, რომლისაგანაც მთელი ეს ხილული ქვეყანა წარმოსდგა, ჰკითხულობს თალესი. პასუხი, ის რომ იძლევა ამ კითხვაზე, ბუნებრივიც არის და უცნაურიც ერთსა და იმავე დროს: ეს ძირითადი ნივთიერება წყალია. ერთის მხრივ ეს ბუნებრივი პრინციპია და ნათლად აჩვენებს, თუ რა დიდი ნაბიჯი გადუდგამს ჩვენს ფილოსოფოსს იმ მითოლოგიურ აზროვნების წინ, ჰომიროსის ან თუნდ თვით ჰეზიოდის პოეზიაში რომ გამოიხატა. მაგრამ მეორე მხრივ ის ჩვენზე ბავშვური გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას სტოვებს, განსაკუთრებით თუ იმ საერთო ნიადაგს არ გავითვალისწინებთ, რომელზედაც ის აღმოცენდა.

როგორც ვთქვით, თალესი კარგად იცნობდა ეგვიპტეს და მის ბუნებას. ის იცნობდა ნილოსს, მისს პერიოდულს წყალდიდობას, მისს მადლიანს გავლენას მთელის იმ ქვეყნის ნაყოფიერებაზე. ის იცნობდა მსოფლიო მხედველობას, რომელიც ნილოსში ნაყოფიერების და მოსავლიანობის ღვთაებრივს განხორციელებას ხედავდა. საიდან წარმოსდგება ეს განაყოფიერება თუ არ დინალეკისაგან და ეს უკანასკნელი რას მოაქვს თუ არ ნილოსის წყალს? ამას გარდაც განა თვით ცხოველების და მცენარეების საკვები სოფელი არ არის, ისევე როგორც მათი თესლი, ახალს ცხოვრებას რომ დასაბამს აძლევს?.. ეს და ამგვარი მოსაზრებანი ნათლად გვარწმუნებენ, რომ მთელი თავისი პარადოქსალობის მიუხედავად თალესის ძირითადი რწმენა მაინც დიდი ნაბიჯია ბუნების მეცნიერულად ახსნის გზაზე.

—

ის პრინციპი, თალესმა რომ წამოაყენა, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ცოტად თუ ბევრად ლოღიურად გაწვრთნილს მოაზროვნეს. მისი ფილოსოფიური მემკვიდრე და თანამემამულე **ანაქსიმანდროსი** კი (610—547 წ. ქრის. შობამდე) ძლიერი იყო, როგორც ლოგიკოსი. წყალი ინდივიდუალურად განსაზღვრული მოვლენაა. ამიტომ ცხადია, ის არ შეიძლება არსებობის იმ საფუძვლად და დასაბამად ჩაითვალოს, რომლისგანაც ყოველი მოვლენა წარმოსდგება. პირიქით, ეს ძირითადი ნივთიერება, ეს „არხეე“ უარყოფაა ყოველივე განსაზღვრულისა და განსხვავებულისა, ყოველივე განუმეორებელისა და ინდივიდუალურად დახასიათებისა. მაშ რომელიღაა ეს ძირითადი ნივთიერება? არც ერთი იმათგანი ჩვენ რომ ვიცნობთ, ვხედავთ და ვეხებით. ის არის „აპეირონი“, გამოუთქმელი და განუსაზღვრელი, მიუწდომელი რაღაც, რომელიც არც ერთს ხილულს ნივთიერებას არა ჰგავს და ყოველ მათგანს კი უძევს საფუძვლად. მიტომ რომ ეს უკანასკნელნი იმ დედა-ნივთისაგან წარმოსდგნენ გამოყოფის შემწეობით. ამ განსაზღვრულ ნივთთა გამოყოფა სითბოს და სიცივის წინააღმდეგობით ხდება. ოთხი შობილი ელემენტი—მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი ისეთივე ნაყოფია ამ პროცესსისა, როგორც სხვა უბრალო საგანნი და მოვლენანი.

ყოველს შობილს განადგურება მოელის. ის ღირსიც არის ამ ხვედრისა. წარუვალი და მუდმივია, მხოლოდ დედა-ნივთი, რომელიც არ შობილა. მის კალთაში დაბრუნდება ყველაფერი, რაც ოდესღაც წარმოსდგა და შემდეგ განადგურდა. ეს უდიდესი კოსმიური სამართალია და ის ჩვენს ფილოსოფოსში სარწმუნოებრივ და ზნეობრივს კმაყოფილებას იწვევს. განცალკევებული ყოფნა ძირითადი ცოდვა და უსამართლობაა. ინდივიდუალურმა არსებობამ „სასჯელი უნდა მოიხადოს დროების მუდმივი წესწყობილების მიხედვით“. ეს სასჯელი მისი სიკვდილია, რომელიც იმ „აპეირონის“ წიაღში გათქვეფას მოასწავებს... ეს აზრიც არა ერთხელ განმეორებულა შემდეგ ფილოსოფიის ისტორიაში. შოპენჰაუერმა კი ის თავის პესიმიზმის ერთს დედაბოძად აღიარა...

თავის წიგნში „ბუნების შესახებ“ ანაქსიმანდროსმა მოგვცა არა მარტო ღრმა და ორიგინალური ნატურფილოსოფიური მოძღვრება, არამედ სისტემაში მოიყვანა მაშინდელი დროის პრიმიტიული გეოგრაფიული ცოდნაც. არსებობს ერთნაირი პირველყოფილი გეოგრაფია, რომელსაც უმნიშვნელო განსხვავებით ვხვდებით ძველ ეგვიპტელების, ქალდეველების, სპარსელების და ბერძნების მსოფლიო მხედველობაში. ამ გეოგრაფიის და კოსმოგრაფიის მიხედვით დედამიწა ბრტყელი კოსმიური სხეულია და სამყაროს შუაგულში იმყოფება. ის დასცურავს წყალზე, ან შეურყევლად სდგას რაიმე მაგარს საფეხურზე. მას თავზე ზარის მსგავსი ზეცა ხურავს ქუდივით, ხოლო მისი ზედაპირი თანდათან მაღლდება ჩრდილოეთისკენ: იქ უზარმაზარი მთებია აღმართული. ხოლო იმ მთებს გადაღმა სცხოვრობს უბედნიერესი ხალხი ჰიპერბორეელნი. დედამიწას გარშემო თვალუწვდენელი მდინარე, ოკეანოსი, არტყია, რომელიც თავისი წყლით ასაზრდოებს ზღვებსა და მდინარეებს. მზე დილით ამოდის ოკეანოსის ტალღებიდან და საღამოს მისივე ტალღებში ეშვება, რათა ღამის განმავლობაში გააკეთოს გრძელი გზა დედა-მიწის ქვეშ და დილას ისევ აღმოსავლეთს მიაღწიოს.

ჩვენმა ფილოსოფოსმა ეს გულუბრყვილო შეხედულება სანახევროდ შეითვისა, ხოლო სანახევროდ შეასწორა და განავითარა. დედა-მიწა ბრტყელი ფირფიტა კი არ არის, არამედ დაბალი ცილინდრის მსგავსი სხეულია. ზეცა დიდი შარია და დედა-მიწას ყოველ მხრივ არტყია: ის იმ შარის შუაგულში იმყოფება უსაფეხუროდ. ის არ ვარდება ცარიელს სივრცეში, ამიტომ რომ ზეცის ზედაპირს ის ყოველ მხრივ ერთნაირად არის დაშორებული და ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ მან სწორედ ზევით ან ქვევით, მარცხნივ ან მარჯვნივ გაიწიოს. მზე ოკეანოსში კი არ სცურავს, არამედ ზეცის გუმბათზე აკეთებს თავის გზას.

ელლინნი განგებისგან არჩეული ხალხია და მსოფლიოს ცენტრში სცხოვრობს. ის სხვა უცხო ქვეყნიდან კი არ არის შემოსული, არამედ „ავტოხტონის“ ე. ი. თვით სამშობლოს მიწისგან არის შექმნილი.

მესამე მილეთელი ბრძენი **ანაქსიმენესი** (გარდაიც. 524 წ.) ძირითადი კოსმოლოგიური პრობლემის ახსნაში ხელახლა თალესს დაუახლოვდა. მაგრამ მან დედანივთად წყლის მაგივრად ჰაერი აღიარა, „პნევმა“, რომლითაც ყოველივე არსებული არის გაჟღენთილი. ამ ძირითადი პრინციპისაგან წარმოსდგა „ყველაფერი, რაც იყო, რაც არის და რაც იქმნება“. თავისთავად არც ეს შეხედულებაა გასაოცარი. ჰაერი ყველაზედ მოძრავი და ყველაზედ გავრცელებული ნივთიერებაა. ამას გარდა პრიმიტიული აზროვნებისთვის ის ცხოვრების საფუძველია. სული და სუნთქვა მახლობელია, ხშირად ანალოგიური მოვლენაა ნაკლებ განვითარებული გონებისთვის. „პნევმა“ ჰაერიც არის და სულიც ძველი ბერძნების შეხედულებით: რა გასაკვირველია, რომ ამ შეხედულებამ თავისი ბეჭედი დააჩნია ლოღიურად ნაკლებ გაწვრთნილს მოაზროვნეს?

განცალკევებულ ნივთთა წარმოშობა ჰაერის გათხელების და გასქელების შემწეობით ხდება: პირველს შემთხვევაში ის ცეცხლად იქცევა, უკანასკნელში—რაიმე მაგარ საგნად. ეს პროცესსი სრულიად ბუნებრივად სწარმოებს და მის ასახსნელად არავითარი იდუმალი „სითბო“ და „სიცივე“ ან „გამოყოფა“ არ არის საჭირო,—ეს პირველი სანახავია მექანიკური მსოფლიო მხედველობისა, რომელიც შემდეგ გალილეისა, ნიუტონის და დეკარტის შემწეობით ახალს მეცნიერებას დაედვა სარჩულად

გერონტი ქიქოძე.

და მეჯლისის თავმჯდომარისა, რითაც ისინი პროტესტს უცხადებენ ინგლისის და რუსეთის მთავრობის მოქმედებას. თავმჯდომარემ დეპეშა მთავრობას გადასცა და დაავალა, საჩქაროდ გადაეცით დელეგაციებსო.

გაზეთებიდან.

ლონდონი.

„ტაიმს“ში შუსტერ-მორგანის წერილია დაბეჭდილი, რაშიაც იგი ამბობს, ჩემს მოვალეობას ავასრულებ პირნათლად, ვიდრე რუსეთი ძალით არ გადამაყენებს თანამდებობიდანაო.

ლონდონში არ სჯერათ, რომ რუსეთს ჩრდილოეთ სპარსეთის ნამდვილი ოკუპაცია ჰსურდეს. იმას კი ამბობენ, რუსეთი ძველ შაჰის გამეფებას მოითხოვს, ან და ბახტიართა დახმარებით შუსტერს გააძევებსო.

ნიუ-იორკის გაზეთმა „ვორლდმა“ ინგლისის გაზეთებს შუსტერ-მორგანის დეპეშა გამოუგზავნა, დეპეშაში შუსტერ-მორგანი ამბობს, რუსეთი ჩემ გადაყენებას იმიტომ მოითხოვს, რომ ჩრდილოეთ სპარსეთის მისთვის გადაცემას არ დავეთანხმდიო. რუსთა სურვილი რომ ამესრულებინა, მაშინ ხომ ვუღალატებდი იმ ხალხს, რომელსაც ვემსახურებიო.

შუსტერი დასძენს, რუსეთის ბიუროკრატია ძალიან ნაწყენია ძველ შაჰის განდევნითა და კონსტიტუციურ მთავრობის გამარჯვებითაო. მე არ დავეთანხმდი სპარსთა რეაქციონერების გადასახადისაგან განთავისუფლებას, რომელთაც რუსის მოხელენი ესარჩლებიან და ამანაც ძალიან გააბრაზა რუსეთის მთავრობაო. რუსეთის მთავრობის პრესა ებრაელსა და ავანტიურისტს მიწოდებს, მაგრამ მე მხოლოდ იმ პირობას ვასრულებ, რაც მე და სპარსეთმა დავდეთ — დასძენს შუსტერ-მორგანი.

სპარსი ბატონიშვილი.

გაზ. „რულის“ კორესპონდენტს უსაუბრნია მოსკოვში მყოფ სპარს ბატონიშვილ ამირ-ჰაჯართან. ულაპარაკნიათ სპარსეთის მდგომარეობის თაობაზე. ბატონიშვილს უთქვამს, ძალიან ცუდად არის ჩვენი საქმეო. „სპარსეთის ხალხს დამოუკიდებლობის დაცვის საკითხი აღუდგა წინ. ჩვენ ვერავის ვენდობით და არც არავისგან მოველით შველას. ინგლისისას თუ იტყვით რასმე—ტყუილია, რადგან კარგად ვხედავთ მის ორმაგ და ორპირ პოლიტიკას. ბ-ნი გრეი ძალიან საკვირვლად იქცევა. უკანასკნელ ცნობების მიხედვით სპარსნი ძალიან აღელვებულნი არიან ინგლისელების წინააღმდეგ. მათ უკვე შეიტყეს ინგლისელთა თანაგრძნობის სიყალბე. ინგლისს სახელი თან და თან უტყდება, რადგან იგი რუსეთის პოლიტიკას მხარს უჭერს და ვინ იცის, რა იქნებაო“, დაათავა თურმე ბატონიშვილმა.

ხალხი ქალაქის მცხოვრებნი

თეირანში კურბან-ბაირამის დღესასწაულის გამო აქლემის დაკვლის შემდეგ ხალხმა მანიფესტაცია გამართა და იძახდა: „თავისუფლება, ან სიკვდილი!“ ხალხმა ის ქუჩები დაიარა, სადაც უცხოელთა მისიები და რუსის ბანკია. ამას გარდა, ქალაქის სხვა ნაწილებშიაც იყო „ევროპიელთა“ შემოსევის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გამართული. ყველა სპარსელმა გახამებული საყელო მოიხსნა. ვინც კიდევ ატარებს, იმათ ხალხი ძალითა ხსნის და სწვავს. რუს-ბელგიელთა ტრამვაის ბოიკოტი გამოუცხადეს და ვაგონები ცარიელი დადის. ბოიკოტი გამოუცხადეს აგრეთვე რუსეთიდან შეტანილ შაქარს.

ყველა უბედურების მიზეზად რუსებსა სთვლიან. მარტოოდენ ინტელიგენტმა და განათლებულმა ნაწილმა იცის, რა როლს თამაშობს ამ საქმეში ინგლისი, რომელმაც ჯარი გამოჰგზავნა სპარსეთს, თუმცა ამ ჯარის აქ ყოფნას ჩრდილოეთის მცხოვრებნი ვერც კი გრძნობენ. თეირანის ქუჩაზე აფიშები გაუკრავთ, რაშიაც თურმე სამი სიტყვაა: „სიკვდილი, ან თავისუფლება!“

ლაფარგის სიკვდილი

ამას წინად უკვე მოხსენებული გვქონდა ფრანგის მარქსისტთა ბელადის და მეთაურის პოლ ლაფარგის თავის მოკვლა. იგი საფრანგეთის მუშათა პარტიის ერთი დამაარსებელთაგანია. მისი სიკვდილის გარემოება ძალიან საინტერესოა.

ლაფარგი თავის სახლში გარდაიცვალა, დრავეილში. მისმა მებაღემ ეჭვი შეიტანა, ბატონი რატომ არ გამოდის აქამდეო და დილას მის ოთახს მიაშურა. ლაფარგი ლოგინზე იდვა, უკვე გაყინული. მეორე ოთახში სავარძელში იჯდა ლაფარგის ცოლი—ისიც გარდაცვალებული. ოთახში არაფერი იყო არეული. სტოლზე რამდენიმე ბარათი ეწყო. ერთი იმათში ტრაგედიის მიზეზს შეეხებოდა. აი, რა ეწერა:

„სრულიად ჯანმრთელი ვარ სულითაც და ხორცითაც, მაგრამ თავს ვიკლავ, ვინაიდან არა მსურს სიბერემ ცხოვრების სილამაზე მომისპოს, ჭკუა-გონება და ტანი შემისუსტოს, ენერგია დამიკარგოს, სიმტკიცე წამართვას და თავსაც მოვწყინდე, სხვასაც მოვაწყინო თავიო.

დიდი ხანია გადავწყვიტე, სამოცდა ათ წელზე მეტს არ მეცოცხლნა. ჩემი სიცოცხლის და ცხოვრების ბოლო თვით განვსაზღვრე: ციანის კალი შევიშხაპუნე.

ვკვდები და თანაც მიხარიან, რომ ის საქმე, რასაც მე 45 წელს ვემსახურებოდი, გაიმარჯვებს. გაუმარჯოს კომუნიზმს! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს!

მეორე წერილით თანამოაზრეებს არიგებს. კომუნიზმურ იდეალიზმის ძლიერი დამცველი სასტიკის გულგრილობით ჰსაზღვრავს ნამდვილ მოქალაქის სიცოცხლეს—მან მხოლოდ 70 წელიწადს უნდა იცოცხლოს. ამის შემდეგ კაცი ისე ვერ იცოცხლებს, საზოგადოებას არ დააწვეს ტვირთად.

ლაფარგმა წინდაწინვე გაანაწილა თავისი ქონება და მოსამსახურეთაც კი დაუტოვა ცოტა რამ. ატესტაციაც მზად ჰქონდა მათთვის.

ლაფარგს თან გაჰყვა ცოლი, კარლ-მარქსის ასული, რომელიც ქმარს ყოველთვის მხარში ედგა და ძლიერად შველოდა ყველაფერს.

„უ. რ.“

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი.

საზღვარ გარედ

ათინა. „ათინას სააგენტო“ იუწყება, მაკედონიაში ისევ განაგრძობენ ბერძენთა ხოცვას ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის აგენტებიო. 18 ნოემბერს მოჰკლეს ხოხოსს ახლო 3 ბერძენი. მკვლელობამ დიდი აღელვება გამოიწვია.

პარიზი. საზონოვმა დღეს ფალიერი ინახულა. ლაპარაკმა ნახევარ საათს გასტანა. შემდეგ იგი სასაუზმოდ დაჰპატიჟეს, რასაც დაესწრო იზვოლსკი, კაიო, დე სელვი და რუსის საელჩოს წევრნი.

ვენა „ზონდერ-კორესპონდენცია“ იუწყება, ტყუილია, ვითომც იტალიის მეფეს აბრუცის ჰერცოგს ავსტრიის საზღვარზე სიმაგრეები დაეთვალიერებინოს.

პარიზი. სოციალისტმა ტიერიემ სანარქისტო კანონის მოსპობის საკითხის სწრაფი განხილვა მოითხოვა. იუსტიციის მინისტრი წინააღმდეგი იყო. 443 ხმით 47 წინააღმდეგ სწრაფი განხილვის საჭიროება უარჰყვეს.

ვენა. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა შტურკმა ცხარე პროტესტი განაცხადა სოციალ-დემოკრატთა შეკითხვის გამო, რაც გეტცენდორფის სამსახურის მიტოვებას ეხებოდა. შტურკის აზრით, ამნაირი განცხადებანი ადამიანის მონარქისტულ გრძნობას შეურაცხყოფენ.

მოსკოვი. სკორბიაშჩენის ქალთა მონასტერში წუხელის მოსამსახურე და ერთი მორჩილი ქალი მოჰკლეს, სასწაულთმოქმედი ხატი გაძარცვეს და ძვირფასი თვლები აცალეს, 2 ათასს მანეთად ღირებული.

სამოსამართლო პალატამ 1908 წ. შლისელბურგის ციხიდან განთავისუფლებულ მოროზოვს ერთის წლის ციხე გადაუწყვიტა „ზვეზდნია პესნის“ გამოცემისთვის.

ჰელსინგფორსი. ვიბორგის გუბერნატორს ცნობა მოუვიდა, ფინელმა მებადურებმა ცეცხლი წაუკიდეს ვალაამის მონასტერს, რომელიც კუნძულ მეკფიკაზე, ტყეს. ვიბორგიდან საჩქაროდ ათი პოლიციელი გაიგზავნა.

კიევი. სამხედრო სასამართლომ კიევის 26 ინტენდანტის მექრთამეობისთვის ანტონოვს და ინჟინერ-ტეხნიკოსს ტიხონოვს პირველს 20 და მეორეს 30 თვის ციხე გადაუწყვიტა. პოლკოვნიკ ვოსკრესენსკის და შტაბს-კაპიტან სოლოვიოვს ერთის წლისა, გენერალ-მაიორს კამსარაკანს, პოდპოლკოვნიკ დმიტრიევს, როტმისტრ ბიბიკოვს, პოლკოვნიკ ფილიპოვს, ნადვ. სოვეტნ. მაკარენკოს—გამასწორებელ რაზმში ყოფნა ერთიდან ვიდრე ორ წლამდე. მექრთამეობისათვის დასჯილთ დააკისრეს 150 მანეთიდან დაწყებული, ვიდრე ხუთი ათას მანეთის გადახდა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ხვალ, კვირას ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება გერმანიის ცნობილი დრამატურგის გუცკოვის განთქმული ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, მთავარროლებს შეასრულებენ ალექსი-მესხიშვილი და სხვანი. ეს ადწარმოდგენა იაფ ფასიანი, ესე იგი ბილეთების ფასი ერთი ორად დაკლებულია. ჩვენის აზრით, დრამ. საზოგ. დიდი ხანია ფასები უნდა დაეკლო სახალხო წარმოდგენებზე: ამით თითონაც მოგებაში იქნება და მდაბიო ხალხიც, რომელიც ხელმოკლეობის გამო ვერ ესწრობა წარმოდგენებს.

ქართული თეატრი. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, წარმოდგენილ იქმნა ორი ახალი ორიგინალური პიესა: „სიზმარი კოშკში“, დრამატიული ესკიზი 1 მოქმედებად ბ-ნ კონსტან ანდრონისა და 2) მსხვერპლი უვიცობისა“, სცენები 4 სურათად ქ-ნ სევდიასი. დაწვრილებით ხვალ.

ქუთაისი. დღეს, 27 ნოემბერს, დრამატიული დასი ალექსანდრე იმედაშვილის საბენეფისოდ სდგამს ისტორიულ პიესას „გუგენოტების ამოჟლეტა“-ს.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, მოგვცეთ უფლება, თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ. კოწია თავართქილაძეს, რომელმაც მიიღო მხედველობაში ჩვენი სოფლის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ნივთიერი უსახსრობა და შემოსწირა ას ორმოცდაათი ქართულ რუსული წიგნები, რომელთაგან $^2/_3$-დი სხვა და სხვა შინაარსის არის. ამათში „105“ ქართულია, ხოლო 45-ი რუსულია. უკანასკნელში 20-ი დაკაზმულია შესაფერი ყდით. წიგნები დანიშნულებისამებრ გაეგზავნა სოფელ აბედათის უფასო ბიბლიოთეკის გამგეობას. რომლისთვის უზომო მადლობას ვწირავ, როგორც ჩემ მხრივ ისე გამგეობის თავმჯდომარის მონდობილობით.

ანტონ ანჯაფარიძე.

სილამაზე
უმაღლეს ხარისხამდე!

№4711
PARFUMERIE
F. MÜLHENS

№ 4711.
ვარდის ფერი ბროლის
საპონი
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, გაწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება
ფერდ. მიულგენსი
პარფიუმერია N 4711.
კიოლნი ნ. რ. ● რიგა.
დაარსებული 1792 წ.
ერთი ნაჭერი 25 კ.
ყველგან იშოვება.
Метцль. 352138/352158
(9.1537 4)

მუხრანის კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.
გ. მ. გოგიბერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.
მ. კ. ოსხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.
მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.
ლ. გ. ხაუგარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.
აბშილავა—შინაგან, 1—2 ს.-დე.
გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.
გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.
[illegible]—კბილისა, 8—10 ს.-დე.
მ. გ. მიკირტუმოვა—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
№ 646. 100—50 (0—1003—179

სამშობიარო თავშესაფარი
მ. ი. პრემერ
ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და ბავშვის საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.
(26—913—18) ი. გ. კალმაკარიანცი.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს
მოწაფეებს გიმნაზიისათვის, რეალურ სასწავლებლისათვის, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებელთათვის, საოსტატო ინსტიტუტისა და სემინარიისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებელთათვის, მასწავლებლობისა და აფთიაქის მოწაფის სარისხზე I და II კლ. ჩინზე და სხვ. ფასი 10 მან. დაწყებული. პირადად მოლაპარაკება 4—7 საათამდე.
მისამართი: 1-ლი თუმანოვის ქუჩა, N 5, ბინა კულიჯანოვისა, ზემო სართულში. (25—1602—3)

აგენტი
მ. ა. გაქონია
ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადებას შეკრებს აგენტობა ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის საქმეში.
მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, გოლოვინისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.
მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:
ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აფეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. ბუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინ. და საბავშვო.
ბ. გ. ბეგახარტოვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
საღამოთი:
ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. აფეტისიანცი: 6—7 საათ.
11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—191)

ექიმი გ. მუსხელიშვილი
მიიღებს [illegible] ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ზვანიმელიძისა.

გამოცდილი მასწავლებელი
ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინებისთვის, ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ავლაბარზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს დანიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. (около памятн. Воронцову), спросить учителя. (т. 1084.29)

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:
არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ფ. 75 კ.
„ „ წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“. ფ. 80 კ.
„ „ წ. III. „ნააზრევი“ ფ. 65 კ.
„ „ წ. IV. წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. ფ. 85 კ.
[illegible]: „ერი და კაცობრიობა“ ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა: „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა ფ. 30 კ.
ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ГАЛОШИ
ТРЕУГОЛЬНИКЪ
(40—1465—31)

სნეულთა
ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
რადგანაც სპერმინ-პელა დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასაყიდად აგრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი სპერმინ-პელის მიბაძულობით.
ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ წამლებიდან. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ „სპერმინ-პელას“ გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას „სპერმინ-პელა“, ვინაიდან ყველა სხვა წამლები, უეჭველი წაბაძულებაა „სპერმინ-პელასი“.
იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, „სპერმინ-პელ“-ას დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.
органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
საყურადღებოდ
(Метцль и К-о. № 95425). (12—1481—8)